38
916/3
258
ეროვნული ბიბლიოთეკა




№ 37—1916 | ფასი 12 კაპ. | რა, ენკენის. 11

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“
წლიურად 5 მ., ნახევარი წლით 3 მ. გაწერა შეიძლება ფოსტით: Тифлисъ, Ред. „Театри да Цховреба“ Іос. Имедашвили. პირისპირ: „სორაპნი“-ს- სტამბაში.

წელ. მეოთხე გამოცემისა

## ხონის თეატრის დამაარსებელნი

(გამგეობა 1907 წ.)



რ. წივწივაძე   ი. რუხაძე   კ. უგულავა   ი. ჭავჭანიძე
(აკლია განსვენებული [illegible] სანოძე)

ხონის თეატრის არსებობის
ათი წლის შესრულების გამო

იხ. ამავე №-ში „ხონის თეატრის მოკლე ისტორია“

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სოფლად

მომხდარა ხოლმე, როდესაც ჩვენი კუთხის რომელიმე ჩამორჩენილ სოფელში სასწავლებლის გახსნის საჭიროებაზე დაუწყიათ ლაპარაკი, ხალხი წინააღმდეგი ყოფილა: არ გვინდა სასწავლებელიო.

რომ კარგათ ჩაუკვირდეთ ხალხის ცხოვრებას, დარწმუნდებით, რომ ასეთ ბრიყვულ მსჯელობას აქვს თვისი გასამართლებელი საბუთი.

სოფლად ბევრგან მოიპოვებიან ისეთი მავნე პირები, რომლებსაც პატარა სწავლა მიუღიათ და დღეს ხალხს მოტყუებით, ეშმაკობით და ნამუსზე ხელის აღებით ტყავს აძრობენ.

ასეთი პირები სასწავლებელს სოფელში სახელს უტეხენ და ილაჯ-გაწყვეტილი ხალხი იძახის: არ გვინდა სასწავლებელი, იქ ასწავლიან და მერე ჩვენვე გაგვაძრობენ ტყავსო.

როდესაც სოფელი კულტურულად დაქვეითებულია, სოფლის გულშემატკივრებმა ყოველი ნაბიჯი ხალხის საკეთილდღეოთ ფრთხილათ უნდა გადადგან, რომ ხალხმა თავშივე სარგებლობა დაინახოს.

თუ გაუფთხილებლობით ან სხვა მიზეზებით ხალხს თავშივე ზარალი დაანახვეთ, ხალხი დაფრთხება, დაშინდება და ათასი კეთილი განძრახვაც რო გქონდეთ, აღარ მოგეკარებათ.

მთელი ზემო იმერეთი ქვემოსთან შედარებით ჩამორჩენილია. ბევრ სოფელში უბრალო სასწავლებელიც კი არ მოიპოვება, რომ ხალხმა წერა-კითხვა ისწავლოს.

რაიმე სასოფლო საქმეზე რომ ჩამოაგდოთ აქ სიტყვა, ხალხი განზე გადგება და ჰფიქრობს: მას სწორეთ ჩვენი მოტყუება უნდაო. ვინც გამბედავია, პირდაპირ გეტყვით, ამას.

— ესა და პირი ამას დაგვპირდა მოაგროვა ამდენი ფული და შეჭამა, ამან ამდენი შეგვიჭამა, იმან ამდენი, ამან ამაში მოგვატყუა, იმან ამაში და სხვ —აი, რას მოგიყვებიან

ხალხი უფრო მეტს მოუტყუებია, ვიდრე საქმე გაუკეთებია და როდესაც მე, თქვენ ან სხვა ვინმე ახალი პირი მივდივართ სოფელში რაიმე კარგი საქმის დასაწყებათ, რა საბუთი აქვს ხალხს, რომ გვენდოს და ჩვენი გულწრფელობა, ჩვენი პატიოსნება იწამოს?

— გვჯერა, ბატონო მაგრამ ყველამ მოგვატყუა, ფული დაგვტყუეს და ახლა გვეშინიან. აი რას გიპასუხებენ.

ხალხის ნდობა უნდა დავიმსახუროთ სოფელში, უამისოთ არაფრის გაკეთება არ შეიძლება. ნდობის დამსახურება შეიძლება მხოლოდ საქმით და არა სიტყვით. სიტყვა, რაგინდ ლამაზი და მიმზიდველი იყოს, ხალხზე არ მოქმედებს, არა სჯერის. ხალხზე გავლენას ახდენს უფრო საქმე.

ამიტომ თუ ყოველ საქმეს ყველგან თავიდანვე უნდა რიგიანად წაყვანა, მით უმეტეს ეს საჭიროა სოფლად.

ჩვენს სოფლებში თანდათან ვითარდება კოოპერატიული მოძრაობა. მეტად საჭირო, მეტად სასარგებლო და მეტად დროის შესაფერისი საქმეა, მაგრამ თუ ეს საქმე თავიდანვე კარგ ნიადაგზე არ იქნა დაყენებული, ხალხი ბევრგან დაიძახებს: არ გვინდა კოოპერაციაო, ისე როგორც საჩხერის კუთხის ანუ საწერეთლოს სოფლები იძახიან.

კოოპერატივის ერთი უმთავრესი დანიშნულება იმაში გამოიხატება, რომ ხალხს მიაწოდოს უკეთესი ღირსების საქონელი, უფრო იაფ ფასებში, ვიდრე ვაჭარი აწვდის.

კოოპერატივის მთელი მერმისი ამ დანიშნულების განხორციელებასთან არის შეკავშირებული.

ხალხი მხოლოდ ამ შემთხვევაში ჰხედავს კოოპერატივის დიდ სარგებლობას, შეიყვარებს მას და ჩამოშორდება ჩარჩებს და ვაჭრებს; კოოპერატივს წარმოება ფართოვდება, მოგება იზრდება და ეს მოგება შეიძლება შემდეგ და შემდეგ მოხმარდეს სხვა და სხვა კულტურულ საქმეს სოფლად.

სოფლის კოოპერატივს სოფლის ვაჭარმა მაინც არ უნდა აჯობოს, ე. ი. იმ გვარ ფასებში და ისეთივე საქონელი მაინც უნდა მიაწოდოს ხალხს, როგორც ვაჭარი აწვდის. ამ შემთხვევაში კოოპერატივი არის უბრალო სავაჭრო დაწესებულება.

259
ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლო როდესაც კოოპერატივი უარეს საქონელს აწვდის და მეტს ახდევინებს ხალხს, ვიდრე ვაჭარი, მაშინ კოოპერატივი არის ჩარჩის დუქანი და ორნაირი ზარალი მოაქვს: მატერიალური, რადგანაც ხალხი აქ მეტ ფულს ხარჯავს ვიდრე ვაჭართან, და ზნეობრივი, — რადგანაც ყოველგვარ კოოპერაციას ხალხის თვალში ნდობა ეკარგება.

აი სწორეთ ამ გვარი ნიშნები ატყვია საჩხერის კოოპერატივს და საქმეს დროზედ უნდა შველა.

საჩხერეში ნიხრია დადებული პირველ საჭიროების უმთავრეს საგნებზე. ვაჭრები ნებით თუ უნებლიეთ ემორჩილებიან ამ ნიხრს. საჩხერის კოოპერატივში კი ყველა ამ საგნებში მყიდველს მეტს ახდევინებენ. ვაჭარ მაჰალაძეს მოაქვს სიმინდი და ახდევინებს ხალხს ფუთში ექვს აბაზს. საჩხერის კოოპერატივი ამაზედ უარეს სიმინდში ახდევინებს ხალხს ფუთში რვა აბაზს.

— დაგვღუპა, ყელი გამოგვჭრა კოოპერატივმა! — აი რა მესმოდა ყველა გლეხისაგან, რომელსაც კი საჩხერის კოოპერატივთან ჰქონია საქმე.

ზოგიერთი გლეხი მარწმუნებდა: საჩხერის კოოპერაციაში პოლიციასა აქვს ნაწილი, თორემ რატომ ხმას არავინ იღებს, ან ვერაფერი მოახერხესო.

საჩხერის კოოპერატივის სათავეში ისეთი პირები არიან, რომელთა პატიოსნება და სინდისიერება ჩემთვის ეჭვს გარეშეა. მით უფრო სამწუხაროა, რომ საქმის უვარგისი წარმოებით ხალხს გული გაუტყდა და კოოპერატივს ყველა-კრულვას უთვლის.

ჯერ კიდევ შეიძლება საქმის გამოსწორება, თუ მეთაურები მეტის შრომით და ენერგიით შეუდგებიან მას.

ქება და სახელი მათ, რომ მთელი კუთხისათვის სასარგებლო საქმეს სამირკველი ჩაუყარეს, მაგრამ თუ ამ სამირკველს თვითონვე გამოუთხრიან ძირს, უმჯობესი იყო, სულ არ გაენძრიათ ხელი.

---

# მუნჯ სიმღერებიდან

1

მეუბნებიან: „აგრე გამხდარი
სულ არ გვახსოვხარ, სულ არ გვახსოვდი;
სადა იყავი — პურს არ გაჭმევდნენ?
თუ პურის ნაცვლად ხალიჩას სძოვდი?!“

აბა, კარგებო, მე რასა მკითხავთ,
თუ რად ჩამოვხმი, თუ რად ვეწამე? —
ჰკითხეთ იმ ვარსკვლავს, კითხეთ იმ ვარსკვლავს
რომელმაც ჩემთან ათია ღამე!..

ი. გრიშაშვილი

თბილისი, — 22-VIII

# მოგონება

მე მომაგონდა უცბად, უეცრად,
ჩვენი შეხვედრა, ჩვენი გაცნობა,
და ვნანობ ახლა, ვნანობ საშინლად
რომ მალე ჩაქრა ის ჩვენი ტრფობა.
შენი სახელი არც კი ვიცოდი,
არც მიკითხია მე არავისთვის,
და მხოლოდ, მხოლოდ იმას ვნატრობდი,
ხშირად მეცქირა, მეცქირა შენთვის.
ჩუმდა, უსიტყვოდ, შორი ახლოსა
ფეხაკრეფით მე გამივლია,
და შენ იმ დროსა, იმ ნეტარ დროსა,
ეგ კოხტა თავი ძირს დაგიხრია; —
ვგრძნობდი იმასაც, რომ შეხვედრაზე
ტკბილსა წუთებსა შენც განიცდიდი,
ვხედავდი კარგად, ლამაზ სახეზე,
რომ დანიშნულ დროს შენ მე მიცდიდი.

რა კარგი იყო! ჩუმად უსიტყვოთ,
მე ვგრძნობდი იმას რასაც ჰფიქრობდი
და სიყვარულსა ახალს, უზადოთ,
მღელვარე გულში მე ვატარებდი.
სული სულს გრძნობდა, და ზღვა თვალები
უძირო, შავი, ვით ღრმა უფსკრული
ერთმანეთს სწვავდნენ; მწვავდენ თვალები
და თრთოდა გული, გული ბედკრული.
და გავიცანი. მაგრამ ის გრძნობა
გაჰქრა იმ დღესვე, ვით თოვლი მზეზე,
და დარჩა გულში, მხოლოდ, მადლობა
და დარჩა ნატვრა იმ ტკბილ წარსულზე.

განჯა 1916 წ. მარიჯან

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლევან ბატონიშვილი

(1786—1811)

სული შექმს ისტორიას თუ ისტორიას ჰქმნის სული,—ეს ერთი და იგივეა: უსულოდ ისტორია არსად არასდროს არ მოგვარებულა.

ლევან ბატონიშვილი—თვით განხორციელებული სული იყო, მერე სული იმ ლალი მთისა, რომელიც ზრდიდა ყაზბეგს მის ელგუჯათი, ვაჟას მის გმირ-არწივებით, ილიას მის განდეგილით...

„ამა ნუგეშით აღძრული სული
აღმოჰხდა ნულის სიხარულითა...
და მომეჩვენა მე კაცი დიდი,
მყინვარზედ მდგომი, მოხუცებული...
მარჯვენა ხელით უჩვენებდა თვალს:
ყურადღებითა შორს გაჰყურებდა“..

სწორედ ამ მყინვარისა და მიდამო მწვერვალებზე ვიდოდა სული ლევან ბატონიშვილისა მაშინ, როდესაც თავისუფალ საქართველოს უკანასკნელი ჟამი ჩამოირეკა, როდესაც მეფე-მთავრები გვირგვინს იხდიდნენ და მისთავაზებდნენ ჩრდილოეთის ძლიერებას, ზოგნი კიდე ადგილობრივ მეცადინეობდნენ ჩაეშრიტათ და ჩაექროთ ოდნავღა მბჟუტავი სხივი მრავალ ათასწლოვან ეროვნულ მისწრაფებისა.

შური, მტრობა, ღალატი, გამცემლობა, არევ-დარევა, —ყველა ეს გამეფდა ერის ხელმძღვანელ უმაღლესს წოდებასა და წრეებში. მათგან გაჩანაგებულმა ხალხმა იგრძნო მათდამი უაღრესი ზიზღი და თითქმის ხმა ამოუღებლივ შეურიგდა ახალ წესწყობილებას. მარტო მთის სულმა ვერ შეიშვნია მამა-პაპათა მიერ შემუშავებული წყობილების დარღვევა, თუმცალა ამანაც უკანასკნელ გმირის კუბოს წინაშე ექვიანად შეჰბღავლა:

„გცნათ აწ, ვინდა გკვიწევს ერეკლეობასა“

მთის სულის ექვიანობა უსაფუძვლო არ იყო. ერეკლეს ჰყვანდა 24 შვილი *), გიორგის 23 *) და მათში არც ერთი არ იყო ჭეშმარიტი სახელმწიფო კაცი. იმის მაგიერ, რომ განეგდოთ ერთურთის მტრობა, შეერთებულიყვნენ, ერთ ძლიერ ძალად ექციათ თვის მიერვე დაქუცმაცებული ამერეთი, ძმური ხელი ჩაეჭიდათ ივერიის შეერთებისათვის ძმურად ხელ გამოწვდილ იმერთათვის, იგინი, მოსისხლე მტრებივით, აღარ ინდობდნენ ერთმანეთს, ესეოდნენ ერთი მეორეს, ზოგი გარბოდა საქართველოს დაუძინებელ მტრებისკენ. ამასობაში ხალხი გაწამდა, გაისრისა და ზურგი შეუქცია მეკინკლავეებს. ბატონიშვილებმა თვისი ბედ-უბედობა თვითონვე გამოსჭედეს: ჩიტებივით შეიპყრო იგინი და ჩრდილოეთის გზას გაუყენა იგეთმა სახელოვანმა სახელმწიფო კაცმა, ვითარც მაშინ აქ იყო პავლე დ. ციციანოვი.

გამონაკლისს შეადგენდა მხოლოდ ჭაბუკი ლევან ბატონიშვილი. მისთვის არსებობდა არა საკუთარი არსი, არამედ მხოლოდ საქართველო და მისი თავისუფლება.

ლევანი იყო შვილი იულონისა, ირაკლის ძისა. იგი დაიბადა 1786 წელს. მისი მამაც იბრძოდა ახალი წყობილების წინააღმდეგ, აგრეთვე ბიძებიც, მაგრამ ყველა ესენი, გამარჯვებით მოელოდნენ თავიანთ გამეფებას, ხოლო ლევანის მიზანი არ იყო ესრე ეგოისტური, იგი ზრუნავდა გმირულ ბრძოლით მოეპოვა ანუ, უკეთ ვთქვათ, აღედგინა სამშობლოს ახლად დაკარგული თავისუფლება.

1801 წელს 18 იანვარს პეტრეს ქალაქში გამოაცხადეს შეერთება. მაგრამ ამაზე წინად ჩვენი ბატონიშვილები, რომელთა რიცხვი, ვიმეორებთ, იყო მრავალი, გაფანტულიყვნენ თავიანთ საუფლისწულოებში და თითქმის ყოველი მათგანი თავის თავს სთვლიდა თუ არა მეფედ, მთავრად მაინც. მათს იმედებს ხელს უწყობდა: ერეკლეს მიერ გამოცხადებული ახალი წესი მეფობისა: არა მემკვიდრეობითი, როგორც მანამდე მრავალ საუკ. იყო, არამედ უფროს-უმცროსობითი, როგორც ოსმალეთშია ამ წესით, ხელმწიფის გარდაცვალების შემდეგ მეფობა ერგება არა მისს მემკვიდრეს შვილს, არამედ უფროსს გვარეულობაში. გიორგი მეფე რომ გარდაიცვალა

*) ამათგან ზოგი ცოცხალი აღარ იყო 1800 წელს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

(28 დეკ. 1800 წ). ყველას მეფობის სალერ-ღელი აეშალა. ყველამ მოინდომა ყოფილი-ყო „წყალობითა ღვთისათა, იესიან-დავითიან სოლომონიან—ბაგრატიონი, მეფე ყოვლისა საქართველოის, ქართლისა, კახეთისა და სხვა-თა მფლობელი და მპყრობელი“. უპირველესი ამათ შორის იყო თვით ლევან ბატონიშვი-ლის მამა, იულონი, რომელიც ჯერ ხნობით თავის თავს გორისა და ქართლის მეფედ სთვლიდა, ხოლო ყაენისაგან ხანადაც იხსე-ნიებოდა

**მოსე ჯანაშვილი**

(გაგრძელება იქნება)

# დიდებული საიდუმლო

(დასასრული. იხ. „თ. და ც.“ № 36)

—

შუა ღამე გადავიდა. ცა დაბნელდა. ღრუბელთ მორევში გლოვობდა მთვარე უფე-რო აგრილდა ჰაერი. აქა-იქ დაეცა წვიმის სხვილი წვეთები, თითქო ცა დასტიროდა დე-დამიწას. აშრიალდა და ჩუმად ალაპარაკდა ბალახი.

ის კი იქვე იჯდა და ელოდებოდა.

უცებ ბალახებში, სწორედ იქ, სადაც მეზობელს თავი ედო, რაღაცამ სუსტად გაა-ნათა და ისევ მიიმალა; ცოტა ხნის შემდეგ კიდევ გამოჩნდა და დაიწყო ხოხვა; ხან ადი-ოდა პატარა ბალახებზე, ხან ძირს ჩადიოდა და იმალებოდა; ხან ერთ ალაგას გააშუქებდა ხან მეორეს.

ხელავ გაღვივდა იმედის სხივი. კვლავ შეიპყრო ის სიხარულმა და აღტაცებამ.

როცა პატარა მნათობი ავიდა მეზობლის თავზე და იქ თითქო რაღაცას დაუწყო ძებნა, მაშინ იმას შიშით აკანკალებულს, გაუარა გულში:

— ჰო, უნდა იპოვოს ქრილობა და ასევე შევიდეს შიგ

უნდოდა დაეჩოქნა, ეცა თაყვანი და შეხვეწოდა, ეთხოვა რამე, მაგრამ შეშინდა — კიდევ არ დაეფრთხო მშვენიერი და გამოუც-დელი; აღტაცებით და სიყვარულით ადევნებ-და თვალს. უცებ შეჩერდა პატარა მნათობი, თითქო რაღაც მოიფიქრაო, ჩქარა ავიდა მა-ღალ ბალახის ჩამოწვდილ ფოთოლზე, გადა-ვიდა ღეროზე და შეჰყვა ზევით.

— გვეღირსა წყალობა, გვეღირსა,—ჩუ-მად ჩაილაპარაკა და ორივე ხელები დაიდო გულზე, რომელიც საშინლად უცემდა, თითქო უნდოდა გამოხეთქილიყო, გამოვარდნილიყო და საუცხოვო სანახავით გაეხარნა.

აგერ ავიდა ის მაღლა, დაჯდა ბალახის წვეროს და შეჩერდა —ეტყობოდა, რაღაცას-თვის ემზადებოდა, რაღაცას ფიქრობდა.

— გიხაროდეს, ქვეყანავ .. ახლა ხომ მაინც...—გაუარა გულში; მთელი მისი ყუ-

[illegible]

რადღება შეეპყრო უცნაურ მნათობს; სად-ღაც იფეთქა ახალმა გრძნობამ, გაჰქრა ეჭვი-ანობა, გაძლიერდა იმედის სხივი; ასე ეგონა, ფრთები ესხმებოდა, ნელ-ნელა სწყდებოდა ის მიწას და მისცურავდა, აპობდა ჰაერის მსუ-ბუქ ტალღებს. შეხედა მთვარეს, რომელიც ძლივს მოსჩანდა, ღრუბელთ მორევში მცუ-რავი, და ჩუმად უთხრა:

— შენც ეწვალე ჩვენი შემხედვარე... კმარა შენი სიკვდე და სამს ხური... აწ ჩადი, დაისვენე,—დაუთმე ადგილი კაცის სინათლეს!

ის კი დიდებულ მოვლენას მოელოდა. მოიმედე პატარა მნათობიუცებ მოსწყდა ბა-ლახის წვეროს, ჯერ ცოტა დაიმდაბლა, თი-თქო მიწაზე უნდა დაცემულიყო. მერე ისევ აიწია, გაუარა თვალ წინ და დაიკარგა სიბ-ნელეში.

— ვიმე, დავიღუპეთ... დავკარგეთ ყველაფერი! —საზარი ხმით იკივლა და წამო-ვარდა; —ძმაო... ძმებო გაიღვიძეთ, მიშვე-ლეთ... დაიქცა ქვეყანა!..

და გამხეცებული დაედევნა. მოლაღატე მნათობი ხან გამოაშუქებდა სუსტად, ხან ისევ იმალებოდა და მიეშურებოდა.

— სად მიფრინავ, სადა?.. კაცში აღზრ-დილი კაცსვე გაურბი? რა დაგიშავა საწყალმა, რაი?—უყვიროდა და მირბოდა.

თითქმის ყოველ ნაბიჯზე რაღაც რბილს ეხებოდა, წამის-წამ ეცემოდა, მაგრამ იმას თვალს არ აშორებდა, ვიღაცას აღვიძებდა, სთხოვდა დახმარებას და განაგრძობდა დევნას.

სდუმდა ველი, მხოლოდ აქა-იქ ზოგჯერ არღვევდა დუმილს გაუგებარი სუსტი ხმა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითქო თვით ჰაერი კვნესოდა. ცა უფრო მოიღრუბლა და გაშავდა; დასავლეთიდან კიდევ ემატებოდა ღრუბელთ ზღვა; სიბნელემ უმატა; სამხრეთისაკენ ხშირად ეფინებოდა ბნელ ცის კიდეს შორი ელვის სწრაფი ღიმილი, და მერე ძლივს მოისმოდა ყრუ, საიდუმლოებით აღსავსე გუგუნი. ღრმად ეძინა ველს.

ვერ გამექცევი, ვერა... არ გაგიშვებ. . აბა სად წახვალ, სადა? . ჰაუ, მიშველეთ!— ისმოდა შორიდან. —

მეორე დღეს ნახეს ტყეში—დაქანცული იჯდა ხის ძირში, დამუჭული მარჯვენა ხელი გულში ჩაეკრა, ჩავარდნილ გაწითლებულ თვალებში ეხატებოდა სიხარული და სიამაყე. გამხდარ, უფერულ სახეზე ხან ღიმილი გაურბენდა. ხან კი ემჩნეოდა შავი ფიქრების კვალი,

როცა უცნობნი მივიდნენ და ცოტა მოშორებით დადგნენ, იმას წარბები შეეჭმუხვნა დაწყებინა კანკალი, სახე გაულურჯდა: წამოდგა და მიეყრდნო ხეს.

— აქაც მოხვედით?. მაშ გინდათ ქვეყანა დააქციოთ, მოჰპოთ ყველაფერი?—უყვირა მოსულთ: —მე დავიჭირე, მარტო მე... მე... თქვენ კი გეძინათ... გინდათ ახლა წამართვათ?.. გამშორდით ჩქარა... ეს ჯერ კარგად გაზრდილი არ არის, ეშინია კაცის და იმიტომ გარბოდა..., მხოლოდ მე მიცნო და შემეჩვია, მარტო მე... მე გავზრდი ამას ქვეყნისთვის... შიგ გულში ჩავისვამ და იქ გავზრდი...

როცა დაინახა, რომ მოსულნი უფრო მიუახლოვდნენ და შეპყრობას უპირობდნენ, საშინელ ხმით დაიყვირა:

— ხომ არ შეშლილხართ, ჰკუაზე მოდით, არ დაღუპოთ ქვეყანა. . არ მოუსპოთ დიდებული საიდუმლო! ..

მაგრამ მაინც შეიპყრეს და უნდოდათ ხელები შეეკრათ.

მაშინ დამუჭული ხელი უცებ გაინთავისუფლა, ზევით აიქნია, გაშალა და მიაძახა:

— არ გიღალატებ... არ მიგცემ მხეცებს... აბა უშველე თავს!..

. . . . . . . . . . . . . . . .

ცოცხალ-მკვდარი ციცინათელა დავარდა ხმელ ფოთოლზე.

ის იყო დიდებული საიდუმლო.

**გაბრიელ გოგუაძე**

# თანამედროვე მსახიობი და მისი ტრაგედია

პირველ წერილში (იხ. „თ. და ც." № 36) ჩვენ ვსთქვით, რომ თანამედროვე მსახიობი ფრთებ შეკვეცილია.

მერე ვინ შეჰბოჭა და ვინ შეჰკრა დიადი ხელოვნების ერთი ქურუმთაგანი? ვინ აქრობს მსახიობის შემოქმედებას? თანამედროვე რეჟისორი. აი, ვის აუღია მსახიობის სკიპტრა, ვინ გაბატონებია მას! მერე ვინ არის თეატრის სულის ჩამდგმელი, მისი მთრთოლვარე სული, თუ არა მსახიობი?—ვინ გამოდის რამპის წინ?—მსახიობი. ვინ ასახიერებს ამ თუ იმ მხატვრულ პიროვნებას? მსახიობი. ვინ აშფოთებს თქვენს ნების-ყოფას?—მსახიობი ვინ გაკვირვებთ გონებით, ნიჭით, სიმშვენიერე-სილამაზით თუ არა ისევ და ისევ მსახიობი?! ჩვენ კი ახლა სულ სხვა მოვლენას ვხედავთ.

მსახიობის სული, ემოცია, მგზნებარე ტემპერამენტი და ფსიხიური განცდა ჩანავლებულა. წინ ფეხი გამოუდგია ტეხნიკას, როგორც უპირველეს ხელოვნების იარაღს და თვით შემოქმედება კი დაუგმია. მსახიობას დაუყრია ფარხმალი-კი თანამედროვე რეჟისორს აუღია და მისი შემოქმედების სარბიელიც მას უკისრია. მისი ლოზუნგია: აქ მე ვარ და ჩემს სალამურზე უნდა სცეკვავდნენ ყველანი. იმის მაგივრად, რომ მსახიობის თანამოზიარე, მისი თანაშემწე შექმნილიყო რეჟისორი და თავისი რჩევით, დახმარებით, შეემსუბუქებინა მსახიობისთვის მძიმე ტვირთი, ის, პირიქით, ზევიდან კისერზე მაჯლაჯუნასავით დასწოლია და უბნება: აი, ასე იარე, ასე გადადგი ფეხი. ამისთანა ტანისამოსი შეიკერე, აი ასე გამოეწყე, თმები ასე შეიკვეცე, ასე დაჯექ ასე წამოჯექ! ეტყობა აქ არავითარ ანგარიშს არ უწევენ თვით მსახიობის ინდივიდუალობას, მის ფსიხოლოგიას?

რატომ არ იღებენ მხედველობაში მსახიობის მიმართულებას და მისწრაფებას? ან მის ეგრედ წოდებულ ამპლუას, თუმცა ჩვენ პირადად ამპლუის მომხრენი არა ვართ! (ამის შესახებ იხ. შარშანდელ ჟურ. „თეატრი და ცხოვრებაში" მე-40 № ჩვენი წერილი „მსახიობი და მისი ამპლუა"). ამას გარდა, ნუ თუ არ უნდა ეცოდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნენ ახალი ტიპის რეჟისორებმა, რომ ხელოვნების ესთეტიური პრინციპები როდი ემყარება მხატე, გამოფიტულ ფილოსოფიის პრინციპებს? წმინდა, ჭეშმარიტი ხელოვნებისათვის უცხოა ფილოსოფიის მეტაფიზიკური სჯა. ამისთვის მშვენიერ მაგალითად მოვიყვანთ ემილ ზოლას პარადოქსიულ აზრს ხელოვნებაზე, რომელიც ჩინებულად არის განმარტებული ჩვენი ნიჭიერი მწერლის გერონტი ქიქოძის მიერ:

„ხელოვნური ნაწარმოები ბუნების ერთი კუთხეა, შემოქმედებითი ტემპერამენტის თვალით დანახული. მართლაც, ის, რასაც ხელოვნება იძლევა, არის უწინარეს ყოვლისა არა ფილოსოფიური იდეები, აბსტრაქციის სიცივეში გაყინული ცნებები, არამედ ცოცხალი ცხოვრება. მისი ხორცშესხმული და სულჩადგმული ფორმები, ხშირად ძლიერ უბრალონი და უმნიშვნელონი გარეგნულად. ხელოვნება ამ ქვეყნად იმისთვის არის რომ ადამიანის მხედველობას და სმენას ესაუბროს და არა იმისთვის, რომ მისი შემეცნების წყურვილი მოკლას. „ფილოსოფიურად დაფუძნებული“ ხელოვნება ფრიად მჭლე არის, გულმკერდ ჩავარდნილი, თვალებ ჩაცვივნული, ჭლექიანი: ის უნიჭო პუბლიცისტიკაა, რომელიც ვერც ჩვენ თეორეტიულ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს და ვერც ესთეტიურს. მას აკლია ფერების ელვარება, სხეულის სისრულე, მოძრაობის სიცხარე. ის ფერმკრთალია და მოდუნებული უღონოდ დამჭკნარ დედაკაცივით“.

მით უფრო სცენა, სადაც ხელოვნება წმინდა ჭეშმარიტებაა, სადაც მხატვრული კონცენტრაციით არის დაცული ყოველი სილამაზე და სიმშვენიერე სცენისა. თვით სასცენო შემოქმედება ძალიან დაშორებულია ცხოვრების სინამდვილისგან. რაც სცენაზე იქმნება უფრო ფანტასტიურ პოეზიის ნაყოფია, ვიდრე ფილოსოფიური აზროვნებისა. აქ მშრალი სჯა მეტად სუსტია და მკრთალი. თანამედროვე რეჟისორი კი მისდგომია თავისი თეზისებით, თეორიებით და მსახიობს თავის მხატე აზროვნების ბურუსში ახვევს. ეჭვი არ არის ამით იგი მსახიობის პოეტურ აღმაფრენას აქრობს და აქარწყლებს იმის შემოქმედებას.

რაში უნდა გამოიხატებოდეს რეჟისორის მოვალეობა?

ამაზე შემდეგ. ვ. გარრიკი

# ყორანი

(ლეგენდა)

შავს კლდეში ყორანი ბუდობდა.

და როცა კვერცხი დასდო, გაიკვირა და სთქვა: ამ კვერცხის სიშავე ამ შავი კლდის ბრალიაო.

და თეთრ კლდეში გადაფრინდა.

მაგრამ დახე მის განცვიფრებას, როცა იქაც შავი კვერცხი დასდო.

ყორანი ისევ შავ კლდეს აბრალებდა:

— ეს კვერცხიც უთუოდ იქიდან გამოყოლილია. ჯერ კიდევ იმასი ფერი სდევსო.

გაიგონა ეს ფხიზელმა შევარდენმა და ნიშნის მოგებით გადასძახა:—„შავ კლდეს რას აბრალებ, შენ სამოთხეშიც რომ დაიბუდო, იქაც შავ კვერცხს დასდებო.“

ლ. ძიძიგური

# ახალი მუხამბაზი

ძველებურ ჰანგზე

სევდის ღრუბლები—ცის ნამდუდრები
ლაქად ჩასმია მნათობ მთვარესა,
ცეცხლი ცხოველი—ტანჯვა ყოველი
რკალად შემორტყმია არე მარესა!
აგი გრძნეული—გულქვა წყეული
მზეს დასწოლია გულ საკლავადა,
ის ბნელი ბუნდი—ნათელ დღის ხუნდი,
ჩვენზე ბატონობს თავისთავადა...
ბოროტი შური—შხამ გესლის ჭური
სიცოცხლეს გვართმევს, აღარ გვიბრალებს;
სიტყვა ნათელით—ღვთისა სახელით
ის გვამონავებს, გვიხუჭავს თვალებს!
არა გვაქვს ენა, არც გვწყალობს ზენა,
პიტომაცა ვართ დაჩაგრულები,
ვინც სდგას ზევით, იმათი რჩევით
ერთმანეთსა ვსჭამთ ჩვენ ღვიძლი ძმები
სადა ხართ ბრძენნო, ბუნების ძენნო,
ამ ცოდვის ჟამსა რათ არა ჩნდებით,
სისხლის საწმენდად სიცოცხლის მხსნელად
მაშვრალთ მაშველნო, რათ არ აღსდგებით?!

გ. შინატეხელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შენ მღეროდი!..

შენ მღეროდი!.. მორაკრაკე ხმა, ვით ზარი წკრიალებდა,
შენს გარშემო ტევრი სდუმდა, ფოთოლი არ შრიალებდა,
ერთ წერტილზე შემდგარიყო მოსისინე ნიავქარი,
ნისლიც კი არ ირხეოდა, გრძნობის ცრემლად ჩამომდნარი.
შენ მღეროდი!.. შენს ჰანგებში ხალხის სული მწარედ ჰკვნესდა;
შიგ ხან გლოვის ზარი რეკდა, ხან იმედხსნის ცეცხლი ჰკვესდა,
ხან ბორკილი ჟღარუნებდა, ხან ყიჟინი ჰქუხდა ბრძოლის
და მსხვრევის ხმა სანატრელი გაისმოდა ხუნდთა რგოლის.
შენ მღეროდი!.. თაღად შეკრულს ცას სწვდებოდა ხმა გრძნეული.
ყურს გიგდებდა ვარსკვლავთ ჯარი ლურჯ სივრცეში გაპნეული.
ცაც და მიწაც გრძნობის ცეცხლით იწვებოდა შენთან ერთად..
მეც გისმენდი და გსახავდი ხელოვნების ქურუმ ღმერთად!

ვ. რუხაძე

# საღამო

მე დღეს საღამოს მზის ჩასვლის ჟამს მინდვრად გავედი,
გადავიარე მოზიზინე მწვანე ხავერდი
და მდინარის პირს ყვავილოვან ბექზე ჩამოვჯექ.
მზე აღარ სჩანდა, ელვარებდა ცის დასავალი,
სისხლის ფერ ღრუბლებს დაედაფნათ მწვერვალი მთისა
და ჩემს წინაშე მეგონა, თუ წყლისა მაგიერ
ოქრო გამდნარი მდინარებდა.. ვიჯექი ჩუმად.
ჭიანჭველები დაღოღავდენ ჩემს ახლო-მახლო,
გვიმრის ღეროზე შესკუპული მწვანე კალია
გაშტერებული მიცქეროდა... ლივლივით თავზე
უცხო ფრინველმა მშვენიერმა გადამიარა;
წყნარად მიჰფრენდა, მოეღირა ნარნარად ყელი
და დაფიქრებით დაჰყურებდა ზურმუხტო ველსა;
დიდხანს ვუმზერდი ფერადოვანს მის სამოსელსა,
დიდხანს მესმოდა ფარჩის ფრთების შრიალი ნელი:
თანდათან იგი მშორდებოდა, თანდათან, ხელა...
ჩაღრმავებულ ცის უფსკრულში მიირხეოდა,
მწუხრის ლეჩაქი გამსჭვირვალე გარს ეხვეოდა,
ძლივსღა მოსჩანდა მილეული, წერტილი ძესლა...
იფერფლებოდა ვარდის ფერი ცის დასავალი,
მდინარეს სახე დაეჩრდილა; აღმოსავლეთით
გულის კანკალით გაახილა ვარსკვლავმა თვალი...
ჭიანჭველები ჩემს გარშემო კვლავ დაღოღავდენ,
გვიმრის ღეროზე შესკუპული მწვანე კალია
ისევ ისე მიცქეროდა.... ვიჯექი ჩუმად,
ვიმზირებოდი გარეშემო დაფიქრებული,
და არაფერზე არ ვფიქრობდი...

არეზის პირი.

კ. ჭიჭინაძე

# ნაღვლიანი

კმარა წუწუნი!
ამდენ მოთქმით გასივდა გული!
გზა! გზა მომეცით!
ვეღარ ვიტან თქვენს დაკნინებას!
ჩემსკენ, გრიგალო!
წარიტაცე თან ჩემი სული!
გარდამაცალე ამ ხრწნილების
პირსა და სნებას|

**გ. ქუჩიშვილი**

# აი, ახლა დავწინაურდი!!

დასასრულიბ იხ „თ. ც." № 36

**მარფ.** გადავკრათ რა? ვინ დაგვიშლის, თუმცა ქალბატონმა მითხრა, აღარ დაუმატოვო, მაგრამ სანამ ის მოვა—ხუთჯერ გამონელდება. აბა ამოიქექე ჯიბეები, ხელათ მოვაცუხცუხებ, ჩვენი მეწვრილმალე ჰყიდის... ისიც კი მეკურკურება, მაგრამ ვერ მივართვი... (იქით) თუმცა წასულ კვირას იმის დუქნის უკანა ოთახში მე და იმან კარგა გადავკარით და არც კი მახსოვს როგორ დავბრუნდი.

**ვას.** აჰა, აბა ხელათ აქ დაიბადე. ზოგი შენ დაუმატე, არ ეყოფა. (აძლევს ფულს)

**მარფ** ახლავ.

**ვას.** (მარტო) მშვენივრად ცხოვრობს ჩემი მარფუშა. ბატონებიც ალბათ თავის ჭკუიანი იქნებიან, რომ ყოველ დღე ხუხავს: ეს რომ არ მეშველებოდეს, აქნობამდი სადმე მშიერი ღობის ძირში სულს დავლევდი. ამხირებიან ცოლი შეირთვიო. არა რა თავში ვიხლი! ჩემი თავი ვერ მირჩენია—ცოლი რითი ვარჩინო, ან ხელ-ფეხში ბორკილი რათ გავიყარო. რომელი ცოლიანი მჯობიან? ყველას ცოლები ჩემს მარფუშას ენაცვალონონ. ყოველის მხრით ხელს მიწყობს.. დასწყევლოს ეშმაკმა, მუდამ ფული აქვს... უნდა ვეფერო, იქნებ ტანისამოსი გამიახლოს, თორემ ძალიან შემომაცვდა! (იხედება ტანისამოსზე) მომწყინდება—ჯანდაბას ამისი თავი თავს გავანებებ. (შემოდის მარფუშა. წინ საფარის ქვეშიდან გამოიღებს ხორცის ნაჭრებს, მჟავე კიტრის თეფშით, პატარა ბოთლა არაყს და ჭიქას)

### VI

**ვასილი და მარფუშა.**

**მარფ.** აი, მეც მოვედი! ხომ არ მოიწყინე ჩემო კარგო? დღეს ქეიფის გუნებაზედა ვარ და ქუდი ჰერსა ვკრათ. მოდი დაჯექი! (მოისვამს გვერდით)

**ვას.** აი, თუ მოგვასწრეს, მაშინ იქნება სეირი?

**მარფ.** შენ მაგის ჯავრი ნუ გაქვს: ჯერ თორმეტიც არ არის. ქალბატონი სამ საათამდის არ მოვა. (დაასხავს) გარდა ამისა, ქალბატონი ახლა ჩემ ხელშია, ერთს იტყვის—ხუთს ვეტყვი... (უცქერის) მაშ! აბა დავლიოთ. ილოცხლე, ვასია?

**ვას.** შენც ილოცხლე, მარფუშაჯან (სვამენ) როგორ? ქალბატონს შენიშნე რამე?

**მარფ** (იცინის) გეუბნები მაგის დარდი ნუ გაქვს. იცი ერთი საათის წინეთ აი აქ შემოვასწარი, როდესაც ჩემი ქალბატონი მივარდა, მოეხლაუჭა იმ გაწკეპილ ნაზიძეს და ისე ჰკოცნიდა, როგორც აი მე შენ. (მოსვეჩს. ძალზე თავისაკენ იზიდავს და ჰკოცნის)

**ვას** რა მადიანი კოცნა იცი, ჩემო მტრედო! ცეცხლი ხარ, ცეცხლი?

**მარფ.** მე კი ცეცხლი ვარ, მაგრამ შენ ვასია; შენც ისე გიყვარვარ, როგორც მე? (კიდევ ეხვევა და ჰკოცნის)

**ვას.** გაგიჟებით ჩემო სულიკო, გაგიჟებით.

**მარფ.** აბა შემომფიცე! (უცქერის თვალებში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

**გაბ.** ვფიცავ მთავარ ანგელოზს და წმიდა ნიკოლოზს! ნეტავი ერთი მილიონი მქონდეს, რომ სულ აბრეშუმის კაბებით გატარო და ავტომობილებით გასეირნო.

**მარფ.** (სიხარულით, თან არაყს ასხამს) რახან აგრეა, მაშ თითოც დავლიოთ, ჩვენი სიყვარულის სადღეგრძელო და მერმე ქალბატონის საწოლ ოთახსაც ვესტუმროთ. აბა, ასწი! (სვამენ) ახლა ის ოთახიც დავათვალიეროთ! (ადგებიან; მარფუშა მოჰკიდებს ხელს, მიჰყავს საწოლ ოთახში). განა ჩვენ კი არ მოგვიხდება ყურთუკის ბალიშები. (შედიან. დიდი პაუზა. შემდეგ სოლომონი გახარებული, თან მოსდევს თავის უფროსი გენერალი, პენსნეთი, დიდი ბაკებით).

## VII

### სოლომონი და უფროსი.

**სოლ** მობრძანდით, თქვენო აღმატებულებავ, მობრძანდით! იმდენი არ დასძრახავთ თქვენს პატარა უმორჩილეს მონას, თუ თქვენს საკადრისად ვერ გახლავართ მოწყობილი სამაგიეროთ ისეთ ბედნიერად ვრაცხ ჩემ თავს, რომ თქვენს აღმატებულებას ჩემს ოჯახში ვხედავ, ასე მგონია, სიზმარში ვარ მეთქი.

**უფროსი.** ვნახოთ, ვნახოთ. თუ დიასახლისსაც ეგრე გაეხარდება ჩემი სტუმრობა... ვეცდები, ხშირად დაგხედოთ ხოლმე.

**სოლ.** აი, აქ დაბრძანდით თქვენო აღმატებულებავ! (უფროსი ჯდება დივანზე. სოლომონი ნახავს მაგიდაზე თეფშს მჟავე კიტრით, არყის ბოთლს, შეშინებული, უცებ აკრეფავს და კუთხეში მიმალავს. იქით) ეს რა უბედურებაა! ვის გასწყრომია ღმერთი და არაყი უყლაპია! (უფროსს) დღეს, თქვენო აღმატებულებავ, ჩემთვის აღდგომაზე ძვირფასი დღეა. ასე ვგონებ ჩემისთანა ბედნიერი ქვეყანაზე სხვა არავინ იყოს. ყოველი თქვენი სურვილი და ბრძანება, როგორც იქ სამსახურში, ისე აქაც, ამ ჩემ პატარა ოთახში, დიდის მოწიწებით იქნება შესრულებული.

**უფრ.** ეს ყველა კარგი, მაგრამ სადა ბრძანდება დიასახლისი. მე არც იმდონი დრო და მოთმინება მაქვს. შენ ისე აქებ შენი ცოლის თვალებს, რომ მართლა და თუ მომეწონა, იცოდე ჩემთან პირველ ადგილზე დაგაყენებ... (იღიმება)

**სოლ.** (სიხარულით, თან კანკალებს რომ ტასიკო არსად სჩანს) ახლავ გეახლებათ, თქვენო აღმატებულებავ! უსათუოდ სამზარეულოში იქნება. მართალია ახალგაზრდაა, მაგრამ თუ თითონ არა ნახა რას ამზადებს მზარეული, ვერ მოისვენებს და ვერც ენდობა.

**უფრ.** პა!.. ეგ ძალიან კარგი ხასიათი ჰქონია!

**სოლ.** ახლავ დაუძახებ! (მირბის, თან უძახის) ტასიკო, ტასიკო!. ჩქარა! სად დაიკარგე? აღდგომაა, აღდგომა! (გადის)

**უფრ.** ამ კაცის სიხარულს რომ ვხედავ, უნებურად ჩემი წარსული მაგონდება... იყო დრო, როდესაც მეც პატარა პროვინციის მოხელე ვიყავი... მახსოვს ჩვენთან ინება სტუმრობა ჩვენმა უფროსმა... ჩაი... ლოტო. იმ ღამეს ჩემმა ცხონებულმა ცოლმა ორასი მანეთი მოუგო ლოტოში... მერმე... წავედი... წავედი და წავედი... რას იზამ: ასე ყოფილა... ამის საქმეც ასევე იქნება...... რასაც დასთესავ იმასვე მომკი... ახლა უნდა ვმკა... ვმკა .. და ვმკა!.... ჩემ მონაძეს ძალიან უქებენ ცოლს .. ნამეტნავად თვალებს. თუ მართლა ისეთი მომჯადოვებელია... უხერხულია კაცს პატარა ჯამაგირი ჰქონდეს და ცოლი ლამაზი... უნდა უფროსმა იზრუნოს, რომ ასეთი ლამაზი არსება უდროვოთ არ დასჭკნეს.. (შემორბის სოლომონი გაფითრებული) რამ გაგაფითრა?

**სოლ.** არაფ... თქვენო აღმატებულებავ! (თან მთლად კანკალებს შიშით) ამ საძაგელს ვინ იცის სძინავს? ცოტა უნდა შევახურო... თქვენც დამეხმარეთ, თქვენო აღმატებულებავ, კარგად შევახუროთ. .

**უფრ.** (ღიმილით) ძალიან კარგი, ძალიან კარგი .. შევახუროთ....

**სოლ.** (შეაღებს საწოლის კარსა) ტასიკო, ტასიკო! (უცებ) ღმერთო ჩემო! ეს რა ამბავია! ეს რა უბედურობაა ჩემ თავს! (მარფუშას და გაბრიელს, რომელთაც მეტი სიამოვნებით ჩასძინებიათ) აქ რას აკეთებთ? სად არის ქალბატონი?

**უფრ.** (წამოდგება გაჯავრებული) ამას რას ვხედავ? შენ სახლში მომიყვანე თუ დუქანში?

**სოლ.** (მთლად შეშინებული) რას წარმო ვიდგენდი, თქვენო აღმატებულებავ! ახლანდელი მოსამსახურენი სულ ასეთები არიან, მაგრამ ამ შეჩვენებულს გადაუმლაშებია! (მარფუშას, რომელიც გონს ძლივს მოდის, უკან ვასიდი უდგას, ნელნელა მიდის და გაიპარება) რას გაშტერდი, შე გაჰყვნილო? ქალბატონი სად არის?

**მარფ.** ქალბატონმა ბრძანა, საღილად ნუ დამელოდებითო. ის გაწკეპილი ნაზიძე იყო აქა და, ვგონებ, ერთად თუ წავიდნენ სადმე. ჰო, მართლა, აი, ეს ბარათი ბატონს გადაეციო! (აძლევს. უფროსი გაჯავრებული დადის)

**სოლ.** ახლა კი დავიღუპე!

**უფრ.** რასა გწერს?

**სოლ.** აი, თქვენო აღმატებულებავ, ინებეთ და წაიკითხეთ.

**უფრ.** (გამოართმევს და კითხულობს, გაჯავრებული მიუგდებს წერილს და შეჰყვირებს) ხვალვე დათხოვნის ქაღალდი შემოიტანე, გესმის, თორემ ცირკულიარით დაგითხოვ შე მატყუარავ, შენა! (გავარდება საჩქაროდ)

**სოლ.** (გონს მოდის) დიდიხანი იყო ის ნაზიძე?

**მარფ.** დიდიხანი იყო და სულ ერთმანეთს ეხვეოდნენ.

**სოლ.** (გაჯავრებით) როგორ თუ ეხვეოდნენ, რას ბოდავ?

**მარფ.** აი, ასე ბატონო! (ეცემა და ეხვევა, სოლომონი მოიცილებს)

**სოლ.** გასწი, გაეთრიე, შე მოსკიპო, შენა! ჩემმა თვალებმა აღარ დაგინახოს.

**მარფ.** რატომაც არ წავალ.. ჩემი გამისწორდით და წავალ! (გადის ბუზღუნით)

**სოლ.** (იტაცებს თმებში ხელს და სავარძელზე დაეცემა, ქვითინებს) რა ღვთის წყრომა დამატყდა თავს: როგორ ახლო ვიყავ ბედნიერებასთან და რა უცებ გამისხლტა ხელიდან? არა, როგორა ბედავს ის არამზადა, ისა. ჰა! შენი მარფუშამ მათხოვე შენს უფროსსო! ოჰ, ტასიკო, ტასიკო! რაზე დამღუპე, შე დასაღუპო, შენა! (ქვითინებს) აი, ახლა-კი დავწინაურდი!

ფ ა რ დ ა.

ა. ბაქრაძე

# ნუ აყოვნებთ!..

## (ვალ. გუნიას იუბილეს გამო)

წერილი მომქმედ ლაშქრიდან

საწყალს ერთი დღე შეჰხვდა—ისიც წვიმიანიო,—რომ იტყვიან, სწორედ ვ. გუნიას შესახებ ითქმის.

დიაღ, დიდი ხანია რაც ვ. გუნია თავგამოდებით ემსახურება მშობელ ერს ყოველს ასპარეზზე: როგორც მსახიობი, მწიგნობარ-დრამატურგი, პრაქტიკული მუშაკი და...

ვინ მოსთვლის?

ასეთ მოღვაწეობას სხვაგან ყოველ ათეულ-ოცეულ წლის თავზე შესაფერად აფასებენ...

ჩვენში კი... გავიდა ერთი ათეული წელიწად—ვ. გუნია არავის მოჰკონებია, გავიდა ხუთმეტი და ოცი,—მაშინ ვალიკო სხვების დადაფნის თვალსეირებს მართავდა, შესრულდა ოცდა ათიც...

მაშინ, როცა სხვებს სდაფნიდენ—თითქო ვ. გუნია არც კი ყოფილიყოს...

ეს ალბად იმის ბრალიცაა, რომ ვ. გუნია მოკრძალეა და თავის თავზე არ ყვირის...

ძლივს ხმა ამოიღეს და 35 წლის მოღვაწეობის შესრულების დღესასწაულს გადახდა მოუნდომეს, მაგრამ ეს 35 წლის თავიც მოხვდა „სისხლის წვიმების დროს", სწორედ იმ დროს, როდესაც ჩვენის ქვეყნის ცოცხალი და მოძრავი ძალა ბრძოლის ველზეა გასული...

ერთის შეხედულობით მუშა ალექსანდრე თითქო მართალია, როდესაც სწერს („თ. და ც." № 29), ახლა დრო უხერხულია, ომის გათავებას მოუცადოთ და როდესაც ბრძოლის ველზე გასული ხალხი ოჯახს დაუბრუნდება—მაშინ გადაუხადოთ იუბილეო... მაგრამ, ჯერ ერთი—სანამ პეტრე დაბრუნდება, პავლეს ხომ ტყავი გასძვრება, და მეორეც—განა თვალით რო მოვშორდით ჩვენს ძვირფას ალმზრდელ-მოღვაწეს, გულითაც მოვშორდებით?! არა და არა?...

ჩვენ გვგონია, და დარწმუნებულიცა ვართ, რომ თუმცა დღეს საერთაშორისო ომის ცეცხლი გიზგიზებს, რომელმაც ჩვენის ქვეყნის საუკეთესო ძალა შორეულ საომარი ასპარე-

ზებზე გადასტყორცნა, ჩვენს სამშობლოში კულტურული მუშაობა მაინც არ შესწყდება (არც უნდა შესწყდეს) და იმ ღენი სულიერ-ნივთიერი ძალა კიდევ მოიპოვება, რომ ჩვენს ვალიკოს, შინაურ ბრძოლის ველზე ფხიზელ დარაჯად მდგომს, ბრწყინვალეს თუ არა შესაფერ დღესასწაულს მაინც გადაუხდიან...

და ეს იუბილე-დღესასწაული უნდა გაიმართოს ამ შემოდგომით თუ არა, ზამთარში მაინც—იანვარ თებერვალში.

ჩვენ-კი, დღეს ამ უმაგალითო ომიანობის გამო ბრძოლის ველზე გაფანტულნი, რომელნიც სულით და გულით მუდამ ჩვენი ძაძით მოსილი სამშობლოს უანგარო მოღვაწეებთანა ვართ, არც ვალიკოს დავივიწყებთ, შორით სალამს ვუძღვნით, დღეგრძელობას ვუსურვებთ და თავის დროზე, შეძლებისა და გვარად, აქედანაც ხელს გაუწვდით ..

ნუ, ნუ დააყოვნებით და ხანში შესულ ქალარა მოსილ მოღვაწეს დროით მოამკევინეთ თვისი ნათესის ნაათალი მაინც...

ქართველი ჯარის კაცთა ერთი ჯგუფის მონდობილებით

პრ. ს. ი-ძე

მომქმედ ლაშქარი

# ხონის თეატრის მოკლე ისტორია

(ათი წლის იუბილეს გამო)

რამდენიმე წლის წინად ხონში ერთმა სცენის მოყვარე ქალმა ს. წულუკიძემ იპოვა ათიშა. ეს ათიშა გადმოგვცემდა შემდეგს: 1865 წ. იანვრის 24 ხონში უთამაშნიათ დ. ერისთავის პიესა „გაყრა". მონაწილეობა მიუღია მხოლოდ თავადებს. უმეტესი წულუკიძეებია. ეს ათიშა ვ. შალიკაშვილის ხელით გადაეცა „თეატრი და ცხოვრების" რედაქციას. რედაქციამ დაბეჭდა თავის გამოცემაში ათიშა, ხოლო თვით დოკუმენტი დაიწვა ჩვენს თეატრთან ერთად...

ამ დოკუმენტის მიხედვით ხონში პირველი წარმოდგენა გაუმართავთ 1865 წელს. სხვა წყაროებიდან ვიცით, რომ აღნიშნულ წლის შემდეგ ხონში დრო გამოშვებით მოუწყვიათ წარმოდგენები, ხოლო 1897 წლიდან წარმოდგენების მართვა მოუხშირებიათ ამ საქმის ინიციატორებად უთვილან ბუდუ მდივანი და განსვენებული ვარლამ შავდია. წარმოდგენებში მონაწილეობა მიუღიათ: ექიმ პოლიკარპე ჩხიკვიშვილს, ილია ბახტაძეს, მიშა ა. ქუთათელაძეს, ალექსანდრე მაჭარაძეს, კოლია მდივანს, ივანე ი. ქუთათელაძეს, განსვენებულთ ნესტორ ბალანჩივაძეს და საშა წულუკიძეს, გულჩინა დორთქიფანიძეს, ლიზა ხიტკირიას და სხვებს. მართალია ხსენებული წარმოდგენები ზემოდ დასახელებულ პირთ უმართიათ დრო-გამოშვებით, მაგრამ უეჭველია ისიც, რომ ამ წარმოდგენებმა ნიადაგი მოუმზადეს იმ ჯგუფს, რომელმაც მოქმედება დაიწყო ამ ათი წლის წინად.

1907 წ. რაჟდენ წიწვიძემააშენა თავის ხარჯით ხის თეატრი, რომელსაც მაშინ ზოგიერთები დაცინვით „ბალაგანს" ეძახდნენ. ამავე დროს თავი მოიყარა სცენის მოყვარეთა ჯგუფმა. ჯგუფში შედიოდნენ: ნინო წულუკიძე, სოფიო ბახტაძე, აგრაფენა ჭავჭანიძე, განსვენებული ელენე ჩხეიძე, მატრონა ბებეშკორი, ილია ბახტაძე, რაჟდენ წიწვიძე, ივანე ჭავჭანიძე, განსვენებულნი ალექსანდრე ბახტაძე და პოლიკარპე სანოძე, კონსტანტინე უგულავა, ილია რუხაძე, დათიკო ბახტაძე, ერასტო კენჭერაძე, ილია მამფორია, ლადო ზერაგია, ვლადიმერ ნადარეიშვილი და კოლია წიწვიძე. ამათ თავიანთ შორის აირჩიეს გამგეობა (რაჟდენ წიწვიძე, ილია რუხაძე, ივანე ჭავჭანიძე, კოწია უგულავა და პოლიკარპე სანოძე). გამგეობამ მოიწვია სჟისორად ნიკო გვარაძე, რომელიც დიდი სიყვარულით მოეკიდა საქმეს. ის არა თუ რეჟისორობდა და თამაშობდა, არამედ აწყობდა სცენას, დაეძებდა სცენის მოყვარეთ და ყოველმხრივ ხელს უწყობდა ახლად დაწყებულ საქმეს. პირველი წარმოდგენა ამ ჯგუფმა



ნიკო გვარაძე

გამართა 1907 წ. 19 მაის. წარმოადგინეს „ცხოვრების გმირი". ამ წარმოდგენისშემოს. იყო 33 მ. და 90 კაპ... მალე ამ ჯგუფს მიემატა ერთი გავლენიანი ქომაგი: ექიმი პოლიკო ლაზარესძე კიკალიშვილი. იმ დროს, როდესაც სხვები დასცინოდნენ და ათასნაირ არა სასიამოვნო ხმებს ავ-

რცელდებოდნენ სცენის მოყვარეთა შესახებ, ბ. ვ. კიკალიშვილი გვერდში ამოუდგა მათ და ხანიდან წასვლამდის არ ჩამოშორებია თეატრის საქმეს. ის ესწრებოდა თითქმის ყველა მათ კრებას და როგორც სიტყვიერ ისე ნივთიერ დახმარებას უწევდა მათ„.

1900 წ. სცენის მოყვარეებმა დაიქირავეს ახლანდელი თეატრი. რაფიელ წივწივაძის თეატრი გაიყიდა და პატრონმა იზარალა 475 მან.

საქმის დაწყების შემდეგ სცენის მოყვარეთა ჯგუფი გაიზარდა, დამხმარე წევრთა რიცხვი ც გამრავლდა. მოყმატენი: ლიზა დოლობერიძე, ოლია კიკალიშვილისა, ეკატერინე ბახტაძისა, ნინო საღარაძე, მარო ბალანჩივაძე, კატო ქუთათელაძე, აგრაფინა ბახტაძე, ლიუბა ჭანტურიშვილი, ლიუბა ჩხენკელისა, ნინო სან-ძე, მანია ქუთათელაძე, მარო წივწივაძე, მიშა რატიანი, საშა ქუთათელაძე, ამბროსი ბახტაძე, ლათიკო მებუკე, კირილე მაჭარაძე, შალვა ხონელი, სისიკო მაჭარაძე, გიორგი ბახტაძე, ლადო აბაშიძე, ვარლამ სურმაძე, ვარლამ ძიძიგური, კირილე კაკაბაძე, ვლადიმერ მ. ხადარციშვილი, გიორგი ოდიშარია, გრიგოლ და ფარნა ბურჭულაძენი, კორნელი ქაცარავა, სერგო მამალაძე, მათე ბახტაძე და სხვები.

უმეტესობა ზემო ჩამოთვლილ პირებისა დღემდის თავს დასტრიალებენ ჩვენს თეატრს და მის აყვავებას სწირვენ დროს და ენერგიას. ამათში არიან ისეთნიც, რომელნიც უთველ წლივ მუშაობენ დღიდან თეატრის დაარსებისა. ხსენებულ ჯგუფს გაუმართავს სულ 135 წარმოდგენა, შემოსავალი ჰქონია 6750 მ. ხანში ამ ჯგუფს მოუწვევია თითქმის ყველა, ჩვენში ცნობილი მსახიობნი, ზოგნი რეჟისორად, ზოგნიც მსახიობად. განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით სცენის მოყვარეთა მომზადებაში ბ. ბ. ნიკო გვარაძეს, რომელიც ჩვიდ სეზონში მუშაობდა ხანში, ვალერიან შალიკაშვილს და მიხეილ ქორელს...



ვ. შალიკაშვილი



მ. ქორელი

წლევანდელ მათე სეზონის ხელმძღვანე-

ლობდა ახლად დაარსებული დრ. საზოგადოების გამგეობა, რომლის თავჯდომარეა ბ. ექიმი, მიხეილ ი. ჩხენკელი...

დღეიდან ხონის თეატრის ბედ-ბედი დრ. საზოგადოების ხელშია. ვიმედოვნებთ, რომ საზოგადოების გამგეობა ენერგიულად განაგრძობს მუშაობას და მთახერხებს სახალხო სახლის საძირკვლის ჩაყრას მაინც, რომლის საჭიროებას მეტად მწვავედ გრძნობს ყველა ხონელი.

ილ. რუხაძე

# გაცრეცილი ცხოვრება

ს. რემონიძე. მოთხრობები, წიგ. I, გამ. „განათლება"-სი, 16 წ. 232 გვ., 70 კ.

სხვა სახელი ვერ მოვუძებნე იმ ცხოვრებას, რომელსაც ს. რემონიძე გვისურათებს

ძალ-მოდუნებული, უფლებააყრილი, ყოველმხრივ დაწიხლული ჩვენი გლეხკაცობა და მუშა ხალხი, რომელიც, თუმცა შინაგანი ძალა დიდი აქვს, მაგრამ ამ ძალას გზა არ უჩანს და კარდახშული, დღესდღეობით იცრიცება, —აი ვინაა აღნაქსული ს. რემონიძის მოთხრობებში.

იგი აღგვიწერს იმათ, რომელთ ცხოვრება უსამართლობისა და სიღატაკის მუხრუჭებშია მოქცეული, რომელთა „ცეცხლის პირი სავსეა თავმონაწყიერი ბალნებით, ცოლქმარი სამინელ სანახავათაა ჩაღლეტილ-აწეკვილი, ფეხი დაკვლეტია უწულობით, გადასახადი კი 7 8 მანათი აქვს შეწერილი"; იმათ, რომელთაც სამშობლოში სამშობლო დაჰკარგვიათ და ცხრა მთას იქით გადავარდნილან— „აქანაი არაა სამუშიერი და ეგება იქინე ვიშონოთ ორი კაპეიკიო", იმას, „რომელიც ერთხელაც არ გამართულა წელში, სიხარული არ უგრძვნია" და განახლებულ, მომავალ ბრწყინვალე ცხოვრების ტრფიალისათვის შორეულ ცივ ქვეყნებში ანუ კატორგაში ილევნთება სამშობლოზე დარდით... მწუხარე სევდით მოცულ გულით თავს ევლება ჩვენი ბეჩავი ხალხის იმ ნაწილს, რომელიც არსებულ საზოგადოებრივ უკულმართი ცხოვრებით ბოლომა მორეული შვილს რომ ვერსაიდან ხედავს, მხოლოდ შინაურებს შესჩივის:

— „ამას იქით კიდომ იტყვიენ, სამართალია ქოყანაზე!.. სტრაჟს ფული მიეცი, მამასახლისს და ხუცესს ჯამაგირი აძლიე, კლასი ააშენე' გზაი გააკეთე. შტრაფი გადეხადე, გადასახადი აძლიე, ვინცხამ ფული წეილო, იგიც შენ შეიწერეთ და იმას კი არ კითხუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობენ ii ოჯახ დაქცეულები, სათ იშონე იმდონი ფულით... ყანის მუშაობის მეტი კაცს აფერი უსტავლებია ჩემდა, და იგიც არ მოდის საყოფათ; ადესაი ქე გადაჩა, ყვიჭიჭ ჩავყარე ჭურში, გამოვხთი და იმის ფულსაც შენ მოგცემ მეთქინ,—არა, არ შეიძლება, დაგიჭირავენო!.. ბიჭო! უნახავს აგი კაცს! ჩემს ეზოში მოსულ კვაჭიჭას სარგებლობასაც რომ არ მანებებ, აგია სამართალი, აგია კანონი«?!—

გვახედებს იმ ღარიბ-ღატაკთა ოჯახებშიაც სად „მზის სხივი არასოდეს" არ ჩასულა, სადაც ხშირად სიმშილისგან შეწუხებული მეზობელი მეზობელს არ ინდობს, ძმა ძმასა ჰკლავს...

აქვე შეხვდებით ხალხის განმანთავისუფლებელ მოძრაობის სურათებს და მის გმირთა-ნაქვთებს ..

მწერალს ჩვენის ცხოვრების ახალი მოვლენაც შეუნიშნავს: ჩვენი არისტოკრატიის მოწინავე წოდების სამრეწველო—საწარმოო (კაპიტალისტურ) ფერხულში ჩაბმა ..

აი, ზერელე ჩონჩხი ს. რემონიძის მოთხრობათა.

ყოველი ამბავი აწერილია სადათ, მარტივად, გულწრფელად, გაუზვიადებლად...

თ თქო მწერალი შიშობს, ბრტყელბრტყელი „მოთხრობა-აღწერილობით" მკითხველს დრო არ დავაკარგვინოო, აღებული იდეა უბრალო სურათებში აქვს ჩამოყალიბებული ..

იქნება ესეც იყოს მიზეზი, რომ ზოგიერთ მოთხრობას დამუშავება აკლია, სტილს—გაფაქიზება .

მიუხედავ დ ამისა, მის მოთხრობათა გაცნობით ქართველი მდაბიო მკითხველი არა ერთს კეთილშობილურ წუთს განიცდის...

ახალი მომავალი ბრწყინვალე ცხოვრების რწმენა, ვით ღრუბელთ შორის შემოჭრილი მზის ობოლი სხივი, ისე გამოსჭიატობს მისს აზროვნობაში და თუ გვ'ურს ამ ბრწყინვალე ცხოვრების დღე მალე გათენდეს, „ვეცადნეთ, ძმებო, ძმა ძმას არ ჰკლავდეს", ერთი მეორის მტრობაზე ხელი ავიღოთ, უსამართლო წყობილება მოვსპოთ, ადამიანი ადამიანად ვიცნოთ...

„ჩვენც ხომ ადამიანები ვართ, რას გვერჩით, რას"?! — თითქმის ყველა მისი გმირი ასე უესძახის ბატონთა ამა სოფლისათა...

„ბევრი გვაწვალეს და გაგვტანჯეს, მარა მომავალი მაინც კარგია«.

დიალ, ს. რემონიძეს ღრმადა სწამს რომ მომავალი კარგია რომ თუმცა ჩვენი ცხოვრება დღეს ასე **გაკრეცილია** და მისი უსწორ-მასწორობით ხალხი შეწუხებული, მუდამ ასე არ იქნება:

„ერთი დრო არავის შერჩება, ყოველთვის ღარიბ და დაჩაგრულ ხალხისთვის არ იწვიმებს... ერთხელ ჩვენთვისაც გამოიდარებს. **ლამეს დღე ეც მოჰყვება**, ასეთია ბუნების წესი«.

აჰა, ს. რემონიძის რწმენა... გაუმარჯოს ამ რწმენას ჩვენის ხალხის საკეთილდღეოდ.

**იოსებ არიმათიელი**



**დ. ბოჯჯომში** კვირას მარიამობისთვის 12 მეავე წყლის თეატრში, მსახიობ სოსო ჟივიძის საბენეფისოდ, დამსახურებულ მსახიობთა ვასო აბაშიძისა დ ნ ჯავახიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილ იქმნა აზიანის „ფული და ხარისხი", აკაკის „პატარა კახი" (მე-2 მოქ.) და ვ გუნიას 1 მოქ ვოდ „დედის ერთა". მონაწილეობდენ ადგილობრივი სცენის მოყვარენიც: ქ. ქ. მ. ივანოვ-ელინისა, ქეთო კალაძე, ბ-ბ. დ. ძნელაძე, პლ. ხუციშვილი, ლ. ელიოზიშვილი, გოძიევი და სხვ.

პიესები შესაფერი ანსამბლით იქმნა დადგმული: როგორც მსახიობნი, აგრეთვე სცენის მოყვარენიც თავითავის ადგილას იყვნენ და ყველა სინდისიერად ასრულებდა თავის მოვალეობას ჩვენი თეატრის სიამაყემ— ვასო აბაშიძემ აღტაცებაში მოიყვანა დამსწრე საზოგადოება და მაყურებელთ განუსაზღვრელი ესთეტიური კმაყოფილება აგრძნობინა. მსახიობი მხურვალე ტაშით დააჯილდოვე . ქ. ჯავახიშვილმა და თვით მობენეფისემაც—ჟივიძემ სინდისიერად შეასრულეს ნაკისრი როლები. პიესების დადგმას რეჟისორის ხელი ეტყობოდა. წარმოდგენას, სამწუხაროდ, ცოტა ხალხი დაესწრო, რაც იმითი აიხსნება, რომ საზაფხულო სეზონი მიწურულშია, მოაგარაკენი წავიდ-წ მოვიდნენ და ადგილობრივ მცხოვრებთ-კი არ შეეწუხებინათ თავი მუყაითი, ნაამაგდარი მსახიობის ბენეფისზე დასასწრებად

დიალ, სოსო ჟივიძე უფრო მეტი ყურადღების და პატივისცემის ღირსი იყო ,ვიდრე ეს გამოიჩინა ბენეფისის დღეს ბორჯომის საზოგადოებამ, ბ. ჟივიძე, მთელი ზაფხულის განმავლობაში დაუღალავად შრომობდა, ჰმართავდა სისტემატიურად ქართულ წარმოდგენებს— ჩვენ დამსახურებულ მსახიობთა მონაწილეობით, ხალხის სულიერ საზრდოობაზე ენერგიულად ზრუნავდ

მა და გზით სიცოცხლე შეჰქონდა პროვინციის ცხოვრებაში. ბ. ქივიძი ეს შრომა ღირსი იყო შესაფერი დაფასებისა და, რადგან ეს ასე არ მოხდა, სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, ბორჯომის საზოგადოება შრომის მოყვარე მსახიობს შემდეგისათვის მ ინც მეტის ყურადღებით მოეკიდება და თავისის გულწრფელის თანაგრძნობით საშუალებას მის ცემს დღეის შემდეგაც განაგრძოს მუშაობა.

ნიკო გურული

**ᲓᲘ. ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ** საკრებულო დარბაზში მარ ამობისთვის 21 ადგილობრივმა ახალგაზრდობამ, სკოლის სასარგებლოდ გამართა საღამო სამ განყოფილებით: 1) სკოლის მასწავლებელმა ს. დ. ურანეიშვილმა გააცნო დამსწრეთ ქ. შ. წ. კ. საზოგადოების მოქმედება დაარსების დღიდან და კერძოდ ზუგდიდის განყოფილების მოქმედება. ბ ურანეიშვილის მოხსენება შინაარსიანი გამოდგა. ოღონდ გარკვევით ვერ კითხულობდა, 2) ადგილობრივმა სცენის მოყვარეებმა წარმოადგინეს ი. გომართლის ორ-მოქმედიანი ვოდევილი „იასონის ოინები“. კარგები იყვნენ ვ. ჯაქია (თეიმურაზიძე) და პ. სართანია (ივანე), დანარჩენებმაც კარგად შეასრულეს თავ თავიანთი როლები, ოღონდ სუსტობდა პ. კ—ია (ქეთევანი), 3) ბავშვების გუნდმა შეასრულა ქართული სიმღერები, რითაც საზოგადოებამ ძალიან ის ამოგნა და დიდი მადლობელი დარჩა ლ ტბარის გ. ჭელიძისა. საერთოდ საღამომ მხიარულად ჩაიარა, ხალხი ბლომად დაესწრო და 12 ს, ძალიან ნასიამოვნები, დაიშალა.

უქირაფუ

**ᲡᲘᲦᲜᲐᲦᲨᲘ** მარიამობისთვის 28 ი. გედევანიშვი ის „მსხვერპლი“თ ღამთავრდა საზაფხ. სეზონი, რომელსაც ხელმძღანელობდა ბ-ნი ნ. გვარაძე. დადგა მხოლოდ 1-3 მოქ პისამ მწყობრად ჩაიარა. ზედ-მიწევნითდა კარგად შეასრულეს ნა ისრი როლები: ნ გვარაძემ (გიგუა), ჯანიშვ—ისამ, კ. ძიძაძემ (მიხა), ს. გომელაურმა (საქო.) არა უჭირდათ რა ი- კრაწაშვილის ვანუა), რ. საკოვისას დედა), ე. რეხაძეს (ბოქაული) . საკაშვილს (ბიჭი). „მსხვერპლს“ მოჰყვა ი. გრიშაშვილის 1 მოქ. ვოდევ. „ტიმოთეს ლელვი“. ამ ვოდევილში აღსანიშნავია ს. გომელაური. (ტიმოთე), რომელმაც ზედ მიწევნით შეასრულა ტიმოთეს როლი უამინდობის გამო საზოგადოება ნაკლებად დაესწრო, მაგრამ ფრიად ნასიამოვნები დაიშალა ღამის 1 ს.

მარიხი

# ᲬᲕᲠᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

**ᲘᲛ. ᲒᲝᲛᲐᲠᲗᲔᲚᲘ** აგარაკიდან დაბრუნდა.

**ᲥᲐᲠᲗ. ᲓᲠ. ᲡᲐᲖᲝᲒ. ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐᲛ**, ენკენისთვის 6 კრებაზე დაადგინა: ა) მსახიობთა ამხანაგობა შესდგეს და მასთან ერთად გაუძღვეს სეზონს, 2. დაეხმაროდ 4000მან; 3. თვით შეიმუშავოს რეპერტუარის და 4 სეზონიდვინობისთვის პირველს დაიწყოს

**ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ** სეზონი დაიწყება ენკენისთვის 15 ს.

**ᲙᲝᲛᲞ. Მ. ᲑᲐᲚᲐᲜᲩᲘᲕᲐᲫᲔ** ამ მოკლე ხანში სამშობლოში ჩამოვა და გურიისკენ გაემგზავრება საეკლესიო კილოებს ჩასაწერად.

**ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲓᲠᲐᲛ. ᲡᲐᲖ-ᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲡ** შუამდგომლობის თანახმად დროებით სამხედრო სამსახურიდან გაანთავისუფლეს მსახიობნი: ა. ყალაბეგაშვილი, ა. მურუსიძე, ჩხიკვაძე, დეკორატორი ს ჭელიძე.

**ᲛᲘᲢ. ᲚᲐᲚᲘᲫᲔᲛ** გამოსცა გრ. რობაქიძის ნაწარმოები, „გოსტნ აკაკის შესახებ. შემოსავალი ქუთაისის თეატრის სააღმშენებლო კომიტეტს გადაეცემა.

**ᲒᲐᲖ. „ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ“** თითქმის ორი კვირაა უქაღალდობის გამო შეჩერდა.

**ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲓᲐᲡᲘᲡ** შედგენა მიენდო ა. იმედაშვილს- დასი უკვე შესდგა.

**ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲗᲐ ᲡᲐᲖ-ᲘᲡ** თაოსნობით ამ ზაფხულს ს. ნაბახტევში (ზემო ქართლი) გადაღებულ იქმნა იქაურ ძველი (XVI ს.) გეგმა და მხატვრობა. მხატვრების ნ მუშევარი, საკუთარი ბინის უქონლობის გამო, საისტ.-საეთნ. საზ-ის მუზეუმში ინახება.

**ᲮᲐᲠᲤᲣᲮᲘᲡ ᲙᲚᲣᲑᲘ** საზამთრო ბინის უქონლობით მაისამდე დაკეტილი იქნება.

**ᲐᲨᲣᲚᲘ ᲰᲐᲖᲘᲠᲐ** თავის დასტით ამ მოკლე ხანში იმერეთისკენ მიემგზავრება კონცერტების გასამართად.

**ᲛᲒᲝᲡᲐᲜᲘ Ი. ᲒᲠᲘᲨᲐᲨᲕᲘᲚᲘ** შეუდგა თ ილისელ ყარაჩოხელთა ცხოვრებიდან მოთხრობათა წერას.

**„ᲛᲔᲤᲮᲘᲡ ᲢᲧᲐᲝᲡᲐᲜᲘ“ ᲔᲙᲠᲐᲜᲖᲔ** გადასაღებად გადააკეთა ჩვენმა ცნობილმა ჟურნალისტმა ა. ნიკიტინმა.

— **Დ. ᲙᲐᲡᲠᲐᲫᲔ** ქართველ ქალთა გიმნაზიის უმაღლეს კლასებში მიიწვიეს ქართული ენის მასწავლებლად.

— **ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲨᲘ** დღეს, ენკენისთ. 11, ი. ქივიძის რეჟისორობით ადგილობრივ სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილ იქნება. „სამშობლო“.

— **ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ** მახლობელი რეპერტუარი: 1, „მსხვერპლი“; 2, „იმედის დაღუპვა“, 3, „ბარტერ ტურზერ“, 4, „გამცემი“ და სხ.

— ბორჯომის მოწინავე პირთ მუშათა დახმარებით განუზრახავთ ადგილობრივ დრამატიულ საზოგადოების დაფუძნება.

— მსახიობი დ მგალობლიშვილი, როგორც ისმის, რუ ეთს გაუწვევიათ ოპერეტაში.

## ᲡᲮᲕᲔᲮᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ

— **ᲓᲠᲐᲛᲐᲢᲣᲠᲒᲛᲐ Ლ. ᲨᲐᲜᲗᲛᲐ**, „ძველი ღმერთების“ ავტორმა, დასწერა ახალი პიესა „კეისარი“ პიესა წარმოდგენილ იქნება მიმდინარე სეზონში.

## ᲛᲔᲖᲛᲐᲓᲘᲐᲜᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ

— ბაქოში გამოვიდა ახალი თათრული გაზეთი „სოღათი“ (საჩუქარი). გაზეთის ხელმძღვანელთ განუზრახავთ, ხალხური ენით სწერონ მდაბიოთა შორის გასავრცელებლად.

## უკანასკნელი ცნობა

**სამწუხარო ამბავი** მოხდა სად. ნოვაგზე. ენკენისთვის 1 სა გურის უფროსმა კალისტრატე ჩიქო ვანმა თოფით თავი ჩამოიხრჩო. განსვენებული უცოლ-შვილო იყო, პატიოსანი მო ამსახურეთა საყვარელი, ჩვენის მწიგნობის დიდი მოყვარული, ხალხში ჟურნალ-გაზეთების გამავრცელებელი და ჩვენ მოღვაწე-მწერალთა თაყვანის მცემელი; თავის დისწულებს ზრდიდა, სხვ თ ცეწეოდა.

სწორედ დიდი დან კლისია ამისთანა იშვიათი ადამიანის უდროოდ გამოკლება, რასაც ამიერ კავკასიის რკინის გზის მოსამსახურენი გულითა ვსწუხთ.

ვაჩიდე ჩუი ანი

## ჟურნალის სასარგებლოდ

**მახ. ძირვალიძისგან** მივიღეთ **ათი მან.** წინად მიღებულით 40 მან.

## სასცენო სტუდია

ს. 5 ვოროვ

**ნოვის** ხელმძღვანელობით

მეცადინეობა ქართულ და რუსულ ენებზე 1, დიქცია და დეკლამაცია; 2, პლასტიკა და გიმნასტიკა; 3, თეატრის ისტორია, 4 ესთეტიკა; 5, პრაქტიკული მეცადინეობა სცენაზე

ცნობათა შეტყობა შეიძლება ოთხშაბათობით და კვირაობით სად. 6—7 ს. კ. ი. ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში. ტელ. 8—43.

## საზოგადოების საყურადღებოდ

**„ჩვენი გემოს" კვასის ქარხანის** გამგეობა აცხ დებს მომხმარებელთა საყურადღებოდ, რომ „ჩვენი გემოს" ამ ბოლო დროს ბევრი ყალბი მიმბაძველი გამოუჩნდა სარგებლობენ რა ჩვენი ფირმის დამსახურებული ნდობით, ამგზავსებენ თავიანთ ეტიკეტს ჩვენს ეტიკეტს და მით ჰსურთ მომხმარებლები შეცდომაში შეიყვანონ. განსაკუთრებით ყურადღება მისაქცევია ახალი ფირმა „ჩვენი ეს არის", რომლის ეტიკეტი მეტად მოხერხებულად წაავავს ჩვენსას, მათ ხელს უწყობენ ზოგიერთი გამყიდველები, რომლებიც კაპეიკებით დაინტერესებული „ჩვენი გემოს" მაგიერ მუშტრებს „ჩვენი ეს არის" აწვდიან. გთხოვთ გაუფრთხილდეთ სიყალბეს და მოითხოვოთ ნამდვილი „ჩვენი გემო".

## სამუსიკო სკოლა

ტფ. ქარ ფილარ

**საზ. მოწაფეთა. მიღება დაიწყო 26 აგვ.** 10—2 ს.-მდე დღისით და 5—7 ს.-მდე სალამოთი სკოლის კანტორაში. სლეპცოვის ქუჩა, ზელინსკის სახლი № 4.

მასწავლებელთა სია: ფორტეპიანოს კლასი: ე. დ. აბელოვისა, მ გ. ანდრონიკოვ-ციციანოვისა. ნ. ვ. კალაშნიკოვისა. ე. გ. ქიქოძე, ე. ი. მადატოვა-პოლტარაცკისა, ე. ვ ფოგელისა, ვიოლონი: მ ტ. ვასილევი, პ. ა. ტიზენგაუზი, ვიოლონჩელი: გ. კაპელნიცკიკონტრაბასი: ბ. პ ნსკი, სიმღერა: მ. ა. კოლოტოვისა, თეორიის კლასები: ზ. პ. ფალიაშვილი; ხორო: ზ. ი. ჩხიკვაძე; ახალად მოწვეულნი არიან ვიოლონისა: საიმპერატორო თეატრის სოლისტი მ. ა. ვოლფ-იზრაილი და ფორტეპიანოს მასწავლებელი პეტროგრადის კონსერვატორია დამთავრებული პროფეს. მედემის კლასი თავისუფალი ხელოვანი ვ. ვ. ალენიკოვისა.

## ახალი კლუბი

1 კვირის პროგრ. 11—18 ენკ.

**ორშაბათი** — რუსული ოპერეტა

**სამშაბათი** — სიმფონიური კონც.

**ოთხშაბ.** სინემატოგრაფი.

**ხუთშაბ.** — ქართ. წარმ. (უფას); საზანდარი

**პარასკ.** — სინემატოგრაფი; მუსიკა.

**შაბ.** — სიმფონიური კონ.

**კვირა** — მუსიკა; სინემატ.

**დასაწყისი:** კონცერტებისა სალამ. 9 საათ. წარმოდგენისა და სინემატოგრ. სად. $8^1/_2$ სა **შემოსავლელი** ფასი ჩვეულებრივია, მხოლოდ სამშაბათს და შაბათს იხდიან: მანდილოსნები და სტუდენტები (ფორმ.) 65 კ. მამაკაცები 1.05 კ.

## ხაროფხის საზოგადო კლუბი

(მიხეილის პროსპექტი, № 131)

**ერთი კვირის პროგრამა 11—ენკ.—18 ენკ.**

**კვირა** — რუსული წარმოდგენა კაბარე

**ორშაბათი** — სიმფონიური ან ეს ან ის

**სამშაბათი** — სინემატოგ. სიმებ ორკ.

**ოთხშაბათი** — ქართული წარმოდგენა; ბალში სამხედრო — მუსიკა

**ხუთშაბათი** — კონცერტი.

**პარასკევი** — სინემატოგრაფი, სიმებ. ორკეს.

**შაბათი** — ქართული წარმოდგენა.

**კვირა** — რუსული ოპერეტა.

**წარმოდგენა-კონცერტებზე შესვლა უფასოა**




რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

Дозволено Военной Цензурой **სტამბა „ხორაპანი"**